საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ანგარიში პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

30.06.2026 წლის მდგომარეობით

კოდი 30 06
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 06)

პროგრამის განმახორციელებელი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 06	**სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა**	**153 880.0**	**153 880.0**	**65 808.6**	**42.8 %**	**8 981.1**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში 34 656 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;
- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე პირველი დანაყოფის გამოძახების ადგილზე მისვლის დრო ქალაქისა და დაბის დასახლების ტერიტორიაზე არ აღემატებოდა 10 წუთს, ხოლო სოფლის დასახლებაში – 20 წუთს;
- საანგარიშო პერიოდში, სამსახური აქტიურად იყო ჩართული ქ. თბილისში დიდთოვლობის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში, ასევე ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში მეწყერის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში, რისთვისაც შესაბამისი უწყებების მონაწილეობით და სამსახურის კოორდინაციით მოეწყო საგანგებო მართვის შტაბი;
- ინდივიდუალური შემთხვევის ანალიზის და პირადი შემადგენლობის ფსიქო - ემოციური ფონის მონიტორინგის, მხარდაჭერის და საჭიროებების გამოკვეთის მიზნით საანგარიშო პერიოდში სამსახურის პირად შემადგენლობასთან მიმდინარეობდა ფსიქოლოგის შეხვედრები;

- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე დროული რეაგირების განხორციელების მიზნით, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა კომპიუტერული ტექნიკის, საკომუნიკაციო ქსელის, სატელეფონო და რადიო კავშირების, ვიდეო რეგისტრატორების, ვიდეო-სამეთვალყურეო და სატელევიზიო სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას;
- ხულოს, წყალტუბოს, ბოლნისის, ახალციხის, ქარელის, ფოთის, გურჯაანისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საგანგებო მართვის გეგმების შემუშავებაზე უფლებამოსილი პირების მომზადების მიზნით ჩატარებული იქნა თეორიული სწავლებები, რომლის დროსაც განხორციელდა მუნიციპალიტეტების საგანგებო მართვის გეგმების და მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის პროექტების შემუშავება/განახლება. ასევე, სამსახურის კოორდინაციით შემუშავდა და მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულ იქნა საჩხერის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტები;
- საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე კონსულტაციები გაეწია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორ კომპანიას შპს „ტავ ურბან საქართველოს“;
- სამოქალაქო უსაფრთხოების ორგანიზებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების საკითხებზე თეორიული სწავლება ჩაუტარდა 9 საჯარო სკოლას, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებზე ორიენტირებულ 5 სკოლას;
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული დღის ცენტრებისათვის, 24 საათიანი სერვისებისა და შშმ პირთა პანსიონატების თანამშრომლების სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა შესაბამისი სწავლება;
- საგანგებო სიტუაციაზე/ინციდენტზე რეაგირების ხარისხის (დროის ოპტიმიზაციის ჭრილში) გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, მოწესრიგდა და ცენტრალიზებული გახდა სამსახურის ოპერატორების მუშაობა;
- მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით, „პროფესია პოლიციელი"-ს ფარგლებში, სამსახურის სხვადასხვა ტერიტორიულ დანაყოფებს სტუმრობდნენ სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები ადგილზე გაეცნენ მეხანძრე-მაშველების ყოველდღიურ საქმიანობას. ასევე, დაათვალიერეს სხვადასხვა სახის სახანძრო-სამაშველო ტექნიკა და აღჭურვილობა;
- საგანგებო სიტუაციების მხარდამჭერ დავალებებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით სწავლება ჩაუტარდა საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ზოგიერთი ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის პირად შემადგენლობას;
- ევროკომისიის პროექტის („სამოქალაქო დაცვის სისტემის გაძლიერება მოხალისეთა შესაძლებლობების გაძლიერების გზით“) ფარგლებში, სტრატეგიული დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველოს კოორდინაციით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივმა მოხალისეებმა ბორჯომსა და ახალციხეში გაიარეს პრაქტიკული სწავლება. ასევე, გაიმართა დასკვნითი სიმულაციური ვარჯიში, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტებიც ესწრებოდნენ. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ვიზიტი სომხეთში და გაიმართა დასკვნითი ონლაინ კონფერენცია;
- ზაფხულის საკურორტო სეზონის დადგომასა და წყალზე მობანავეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სამსახურის მხრიდან განხორციელდა საზღვაო ტექნიკას და სანაპირო ზოლზე განლაგებული სამეთვალყურეო კოშკურების გეგმიური სარემონტო სამუშაოები, ასევე ცოცხალი ძალის მობილიზაცია, მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების შესახებ სწავლების ჩატარება და ტურისტულად დატვირთულ ადგილებში გადასროლა;
- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სწავლება/ტრეინინგებში:

- შშმ პირებთან კომუნიკაციის და დახმარების გაწევის ხერხების სასწავლო პროგრამაში;
- ქ. ზუგდიდის სსიპ - კოლეჯ „ბლექსი“-ის შენობაში პრაქტიკულ სწავლებაში თემაზე: ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (შემდგომში - „ქბრბ“) საგანგებო სიტუაციებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება;
- სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, დაბა გუდაურში სამთო სწავლებაში;
- გაეროს ჰუმანიტარული საქმიანობის კოორდინირების ოფისის (OCHA) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების განყოფილების (ERS), ევროკომისიისა და იტალიის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ქ. ვოლტერაში (იტალია) ჩატარებულ ურბანულ საძიებო-სამაშველო (USAR) კოორდინაციის საკითხებზე სწავლებაში;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის პროექტის დატესტვის მიზნით ჩატარებულ სამაგიდო და პრაქტიკულ ვარჯიშში;
- ქ. ობერამერგაუში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ნატო-ს სკოლაში დაგეგმილ - „ნატოს ქბრბ გაფრთხილებისა და ანგარიშგების სისტემის კურსი“ („NATO CBRN Warning and Reporting System - Manual Procedures Course“ (P3-71-A-26) სწავლებაში;
- ევროკავშირის პროექტის „eNOVATION - Extended Network of CBRN Training Centres for Innovation“-ის ფარგლებში ჩატარებულ ქბრბ ინციდენტზე რეაგირების სრულმასშტაბიან საველე სწავლებაში;
- ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში, ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის (UCPM) ფარგლებში საკონტაქტო პირებისთვის გაცნობით კურსში;
- ქ. კუალა-ლუმპურში (მალაიზიის ფედერაცია) გამართულ „სტრატეგიულ დონეზე კატასტროფების მართვა და რეაგირება საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის“ სასწავლო კურსში.

- ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ობიექტებს, კერძოდ:
  - დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 255 ობიექტს;
  - მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 410 ობიექტს;
  - საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 222 ობიექტს;
  - სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა (შეუსაბამობა) დაუდგინდა 329 ობიექტს;
  - ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა 276 ობიექტზე;
  - შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების ზომების მომზადების მიზნით განხორციელდა 80 ობიექტზე.

- სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით მოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით მიმდინარეობდა შეხვედრების ორგანიზება და კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის/ორგანიზაციებისათვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 983 ზარი. ასევე გაიმართა 320 საკონსულტაციო შეხვედრა;

- ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების გამომწვევი ფაქტორების პრევენციის მიზნით, სამსახურის მიერ განხილულ იქნა დარგობრივი საკანონმდებლო აქტები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;
- საანგარიშო პერიოდში, INSARAG-ის კლასიფიკაციის მქონე ქართულმა მსუბუქმა ურბანულმა სამძებრო-სამაშველო ჯგუფმა, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო სამძებრო-სამაშველო ჯგუფის მიერ ორგანიზებულ სწავლებაში მიიღო მონაწილეობა. სწავლების ფარგლებში, მონაწილეები გადამზადდნენ INSARAG-ის სტანდარტების შესაბამისად, რამაც კიდევ ერთხელ ხელი შეუწყო მათი შესაძლებლობების განვითარებას;
- გაერთიანებულ სამეფოში, UK ISAR-თან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დელეგაცია UK ISAR-ის მიერ ორგანიზებულ ეროვნულ სამძებრო-სამაშველო სწავლებას დამკვირვებლის სტატუსით დაესწრო. ვიზიტის ფარგლებში ქართული დელეგაცია გაეცნო UK ISAR-ის ოპერაციული და ტაქტიკური დონის მომზადებას და შეხვედრა დაეთმო მხარეებს შორის გამოცდილების გაზიარებას;
- სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადებული/გადამზადებული იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 235 მოსამსახურე;
- eFss - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონულ სისტემაში და eFris - სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემაში განხორციელდა ცვლილებები;
- ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ტექნოლოგიების განვითარების მიზნით maps.es.gov.ge - ინტერაქტიულ რუკაზე, hydrants.es.gov.ge - სახანძრო ჰიდრანტების ელექტრონულ რუკაზე, incidents.es.gov.ge - ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის პორტალზე, სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონულ პლატფორმაზე და ტრანსპორტის მართვის ელექტრონულ პროგრამაში მიმდინარეობდა დახვეწა/გაუმჯობესების ღონისძიებები;
- საანგარიშო პერიოდში განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, შეძენილ იქნა:
    - მეხანძრე-მაშველის ყოველდღიური ფორმის ტანსაცმელი (შარვალი, ქურთუკი) და ზურგჩანთები;
    - ზაფხულის საკურორტო სეზონის მზადებასთან დაკავშირებით შესაბამისი სამაშველო აღჭურვილობა და მაშველთა ფორმა-ტანსაცმელი;
    - სახანძრო ქაფი;
    - კომპიუტერული ტექნიკა;
    - სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტომობილებისათვის ციმციმა და ხმამაღლამოლაპარაკეები, აკუმულატორები, საბურავები;
    - ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის შენარჩუნების მიზნით, სხვადასხვა დასახელების სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა.
- განახლებულია სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი:
    - საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია 3 ერთეული სახანძრო მუხლიანი კიბე (კალათით) (2025 წელს ანაზღაურებულია სახელშეკრულებო ღირებულების 80%, 2026 წელს - 20%).
- გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა:
    - 2025 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. ახალციხეში საოპერატორო ცენტრის მოწყობის სარემონტო სამუშაოები. ასევე, 2025 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ქ. თელავში საოპერატორო ცენტრის მოწყობის სარემონტო სამუშაოები;
    - ზაფხულის საკურორტო სეზონისთვის მზადებასთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში დაიწყო სტაციონალური-სამაშველო კოშკურების სარემონტო სამუშაოები;
    - აქტიურად მიმდინარეობდა სამსახურის დანაყოფების შენობა-ნაგებობების იერსახის შენარჩუნების მიზნით მათი მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 1 423 ხელშეკრულება, საიდანაც უკვე შესრულებულია 1 359 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს ისეთი მომსახურების გაწევას, როგორიცაა: სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია; საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია; შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა სათანადო აქტის გაფორმებით; შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავება; ცეცხლსაშიში სამუშაოების, მასობრივი, სანახაობრივი, სპორტული ან/და სხვა ღონისძიებების ჩატარების დროს (გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება უსასყიდლოდ გაიწევა), აგრეთვე ფილმის, რეკლამის ან კლიპის გადაღებისას სახანძრო/სამაშველო, საავარიო/სამაშველო ტექნიკით ან/და ეკიპაჟით მომსახურება, სახანძრო/სამაშველო, საავარიო/სამაშველო ავტოტექნიკის თხოვება; ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სიმულაციური განგაშის ორგანიზება და ჩატარება სახანძრო/სამაშველო ტექნიკის გამოყენებით;
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემის მართვის, მათ შორის, შექმნის, კოორდინაციის, ამ სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მიღების მიზნით, მაკოორდინირებელი უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფი, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს სამინისტროების ხელმძღვანელი პირების მონაწილეობით. სახელმწიფო რეზერვების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საოპერაციო პროცედურების განხორციელების, ასევე, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების მიერ შესანახი მატერიალური ფასეულობის ჩამონათვალის ნომენკლატურის და დაგროვების ოდენობის პროექტების შემუშავების მიზნით, რეგულარულად იმართებოდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, რეზერვის შექმნაში მონაწილე პირებს წარედგინა სააგენტოს მიერ შემუშავებული სამობილიზაციო რეზერვის შექმნისა და მართვის ძირითადი ეტაპების (გზამკვლევი) ინსტრუქციის დოკუმენტი, სამობილიზაციო მზადყოფნისათვის საჭირო რესურსების ჩამონათვალის შესავსები ცხრილი, ასევე გაეწია სამობილიზაციო მზადყოფნისათვის საჭირო რესურსების ჩამონათვალის ფორმირების პროცესის კონსულტირება;
- საპასუხისმგებლო შენახვაზე არსებული მატერიალური ფასეულობის განახლება რეგულარულად ხდებოდა პასუხისმგებელი შემნახველის მიერ.